ISSN 0132-6015

ნიანგი

22-84



„ხდება ხოლმე, ერთი კომისია წასული არ არის, რომ მეორე მოიჩქარის, გაიხედავ და მესამეც მოგადგება და ყველა ერთსა და იმავე საკითხებზე. ასეთი პრაქტიკა ანერვულებს შრომითს კოლექტივებს, ხელს უშლის მათ მუშაობაში. ერთი სიტყვით, რევიზიების ორგანიზაცია უნდა მოწესრიგდეს“.

კ. უ. ჩერნენკო

ნახ. ჯ. ლოლაშვილი

— ეს რა აგიშენებიათ?!

— ჩვენთან შემოწმებაზე იმდენი რევიზორი ჩამოდის, რომ იძულებულნი გავხდით, მათთვის სასტუმრო აგვეშენებინა!

„სანტექპურმარილბლოკ-შავქვაგუდაყგელყ ვ ე ლ ა ფ-რის“ ტრესტის მმართველთა მმართველს ამხ. ბუთხუზ ლამაზოშვილს.

მისდამი დაქვემდებარებული საჩაროზ-სადესერტო ნუგბართა ფაბრიკის დირექტორის ვ. ცხრატყემალაშვილის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ საჩაროზ-სადესერტო ნუგბართა ფაბრიკაში იმყოფებოდა კომისია, რომელმაც ყოველმხრივ, ყოვლისმომცველად, გულდაგულ, წონა-წონა ,ზომა-ზომა და მისხალ-მისხალ შეამოწმა ჩვენი მუშაობა, რამაც გამოიწვია მთელი რიგი უბნების მოცდენა. ამის გამო ვერცხლის უბრალო ქაღალდში მთლიანად გახვეული, ნახევრადგახვეული, ნახევრადგახეული და გაუხვეველი კამფეტების საამქრომ სქელ, ნახევრადსქელ და ნახევრადთხელ მუყაოს კოლოფებში მთლიანად ჩალაგებული და ნახევრადჩალაგებული ბონბონიერების საამქროებმა კვლავ ვერ შეასრულეს გეგმა, ხოლო დიაბეტიანების და სხვა დარღვევების მქონეთათვის კამფეტების და ლორფინების საამქრომ გეგმა შეასრულა გადამეტებით. ტკბილი, ნახევრადტკბილი და მშრალი კომპოტების საამქრომ გეგმა კვლავ გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ მეორე კვარტალის გეგმა ასორტიმენტის მიხედვით ისევ არ შესრულდა. ვალდებულება ვიკისრეთ, რომ მესამე კვარტალში გეგმას გადაჭარბებით შევასრულებდით, რითაც დავფარავდით პირველი და მეორე კვარტალების დანაკლისს, მაგრამ უეცრად მოგვადგა მესამე კომისია, რომელმაც ასევე გულმოდგინედ შეგვამოწმა, რამაც გამოიწვია გაცდენ-მოცდენა საამქროების მიხედვით, ანალოგიურად წინა კვარტალებისა, და

კომისია!.. კომისია!.. კომისია!..

ნად ჩალაგებული და ნახევრადჩალაგებული ბონბონიერების საამქრომ, სრულწონიანი და არასრულწონიანი შოკოლადის ლორფინების საამქრომ, პირველ კვარტალში გეგმა ვერ შეასრულეს, ხოლო დიაბეტიანების, ათეროსკლეროზიანების, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დარღვევების მქონეთათვის კამფეტების და შოკოლადის ლორფინების საამქრომ გეგმა შეასრულა. ტკბილი, ნახევრადტკბილი და მშრალი კომპოტების საამქრომ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ პირველი კვარტალის გეგმა ასორტიმენტის მიხედვით ვერ შესრულდა. გადავწყვიტეთ, რომ მეორე კვარტალში გადაჭარბებით შევასრულებდით გეგმას და დავფარავდით პირველი კვარტალის ჩავარდნას, მაგრამ წავიდა თუ არა პირველი კომისია, მოვიდა მეორე კომისია, რომელმაც ასევე ყოვლისმომცველად, გულდაგულ და სულდასულ შეგვამოწმა, რამაც გამოიწვია სამუშაო დროის გაცდენა, მუშახელის და მოსამსახურეთა მოცდენა, ვერცხლის უბრალო ქაღალდში მთლიანად გახვეული და სულ გაუხვეველი კამფეტების, სქელ და ნახევრადთხელ მუ-

იუმორესკა

ასორტიმენტის გეგმა კვლავ არ შესრულდა. ტკბილი, ნახევრადტკბილი და მშრალი კომპოტების საამქრომ გეგმა კვლავ გადაჭარბებით შეასრულა. გვეგონა, მეოთხე კვარტალშიც შეგვამოწმებდნენ, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა და საწარმოში შექმნილი მოლოდინის ნერვული ატმოსფეროს მიუხედავად, ყველა საამქრომ გეგმა შეასრულა. ტკბილი, ნახევრადტკბილი და მშრალი კომპოტების საამქრომ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, აგრეთვე, ოთხივე კვარტალის მიხედვით მუყაოს კოლოფების საამქრომ, რითაც წარმოიქმნა ცარიელი კოლოფების სიჭარბე. განსაკუთრებით დიდი გადაჭარბებით შეასრულა გეგმა დიაბეტიანების, ათეროსკლეროზიანების და კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დარღვევების მქონეთათვის კამფეტების და ლორფინების დამამზადებელმა საამქრომ, რითაც წარმოიქმნა აღნიშნული სახის ასორტიმენტის დიდი სიჭარბე, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ გეგმის შესასრულებლად სხვა სახის ასორტიმენტებში, სადაც დანაკლისი გვაქვს. ამიტომ გთხოვთ თქვენს ნებართვას იმისათვის, რომ სქელ კოლოფებში, რომლებიც განკუთვნილია ბონბონიერებისთვის — „ჩიტი, გვრიტი, მარგალიტი“, „ჩემო ტკბილო ქვეყანავ!“ „საყვარლის კამფეტს ვეძებდი“ — და დაგვაკლდა გეგმით, ჩავალაგოთ დიაბეტიანებისთვის, ათეროსკლეროზიანებისთვის და სხვა დარღვევების მქონეთათვის განკუთვნილი კამფეტები. ნახევრადსქელ მუყაოს კოლოფებში, რომლებიც განკუთვნილია ბონბონიერებისთვის — „გოზინაყური“, „სამოთხის ვაშლი“ და „ჩიტის რძე“, — და დაგვაკლდა გეგმით, ჩავაწყოთ დიაბეტიანებისთვის და სხვა ავადმყოფებისათვის განკუთვნილი ვერცხლის ქაღალდში გახვეული შოკოლადი, ხოლო ნახევრადთხელ კოლოფებში, რომლებიც განკუთვნილია მარმელადისათვის — „მშობლიური ცისარტყელა“ და „იდეალური ნაკრები“ — ჩავალაგოთ დიაბეტიანებისთვის და სხვა დარღვევებიანებისთვის განკუთვნილი ნახევრადგახვეული და გაუხვეველი კამფეტები. დარჩენილი კოლოფების სიჭარბის მოსასპობად, გთხოვთ, ნება მოგვცეთ, ბომბონიერებისთვის განკუთვნილი კოლოფები გადავაკეთოთ ტკბილი, ნახევრადტკბილი და მშრალი კომპოტების ჩასაწყობ ვერტიკალურ კოლოფებად, ეტიკეტების შესაბამისი ლამაზი გაფორმებით. ზემოთ აღწერილი ოპერაცია შესაძლებლობას მოგვცემს:

1. ჯანმრთელ მომხმარებელს მივაწოდოთ ნაკლებშაქრიანი შემცველობის კამფეტები, რაც თავიდან ააცილებს შაქრის ავადმყოფობას და უფრო იაფიც დაუჯდება.

2. მოვსპოთ ცარიელი კოლოფების სიჭარბე და მომხმარებელს მივაწოდოთ ლამაზად შეფუთული კომპოტები ეტიკეტის შესაბამისი გაფორმებით.

3. შევასრულოთ წლიური გეგმა, რაც საშუალებას მოგვცემს თავი არ შევირცხვინოთ.

მოხსენებითი ბარათი მოიპოვა
სრულ. მელომანიძემ

ყველა ორგანიზაციაში, სადაც გამოვლენილია დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტები — ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებზე, უმაღლეს სკოლაში, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში — ყველგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და სხვადასხვაგვარი კომისიები. შემოწმებისას კი აღმოჩნდა, რომ მთელ რიგ შემთხვევაში ისინი ფორმალურად ყოფილა შექმნილი.



ნახ. ბ. ლოგვინისა

უსიტყვოდ

ჩაქველი კიო

ღმერთი არ იყო და არც საცირკო განათლება მიუღია **ქობულეთის რაიონის ჩაქვის პურკომბინატის ცვლის უფროსს ა. აბუსელიძეს**, მაგრამ იმისთანა ფოკუსებს აკეთებდა, რომ ღმერთსაც შურდა და ცირკის ილუზიონისტსაც.

ასე მაგალითად: მას შეეძლო მთლად არაფრისგან შეექმნა მთლად უმაღლესი ხარისხის ფქვილი, აქედან მომდინარე ყველა შედეგით — „ალითით, ფუნთუშით,, ხაჭაპურით, ლავაშითა და ბატონით... და რაკი ყველაფერი ბატონით მთავრდებოდა, უბატონოდ ხმას ვერავინ სცემდა!..

ა. **აბუსელიძის** ნიჭით სერიოზულად დაინტერესდნენ დარგის სპეციალისტები და ჩამოაკითხეს კიდეც.

ცვლის უფროსმა ნირიც არ შეიცვალა მათ დანახვაზე, არც აღელვებულა — ვაითუ, ნომერი არ გამომივიდესო, აუკანკალებელი ხელის ერთი მანიპულაციით მან შექმნა ფქვილის დიდი რაოდენობა, რაც სპეციალისტებმა 1902 მანეთად შეაფასეს!..

მანიპულაციის ხანმოკლე სეანსში იმის შიშით, რომ არაფერი შეეშალოსო, ერთ ეპიზოდში **აბუსელიძეს** ხელი შეაშველეს **ჩაქვის პურკომბინატის დირექტორმა გ. კაკაბაძემ, ქართული პურის საცხობის გამგემ ნ. ლეკაშვილმა და აჭარის პურის მიმღების საწარმოს ქობულეთის პუნქტის ლაბორანტმა ნ. კოხრეიძემ.**

სეანსმა სენსაცია გამოიწვია — სახეზე იყო 1750 კილოგრამი უმაღლესი ხარისხის ფქვილი და არავის ძალუძდა ეთქვა, თუ საიდან ჩამოცვივდა იგი, რა ტარამ ატარა, ან რა ქარმა მოიტანა!..

თავად **ა. აბუსელიძემ** არ ინდომა თავისი პროფესიული საიდუმლოს გამხელა და ტყუილი დაახეთქა; ფქვილი ციურ მანანასავით ციდან მოცვივაო! შეშინდნენ ამის მომსმენნი, ამ კაცმა მთლად არ აიწიოსო და იგი კვალიფიკაციის დასადაბლებელ კურსებზე გააგზავნეს!..

არდაინდო არდაშენია

ლატარიის ბილეთს

ხომ დაგვიხეთქე უკვე გულები, —
მაინც ჯიბეში გვეყოგულები!

დაუმოკლდა!..

აღარ მოერგო, არცა აქვს მეტი, —
მთლად დაუმოკლდა ავტორიტეტი!

ვეღარ!..

შესვლით კი, მაგრამ იცით რა მოსდის?—
სიუჟეტიდან ვეღარ გამოდის!..

ამოგხდით!..

ჭოჭმან-ჭოჭმან, ცოხნა-ცოხნით
ბერბიჭობა ტვინს ამოგხდით!

რომ იყოს!..

ღირსი რომ იყოს, ვინ დაობს? —
დადის, და იუბილაობს!

დაისხა!..

ოცნებაც დაახარისხა:
თავმა შავი თმა დაისხა!

გალაღება

ვალაღება ორმხრივია, —
დღეს ის სხდომამოხდილია!

დაცოტავდი!..

ყალბ სიტყვიდან ყალბ ცნობამდი
გაბევრებდნენ... დაცოტავდი!

ლაჩარი

დარბაზს უაზროდ უჭვრიტა,
რეპლიკის სროლაც უჭირდა!

დონე

ის არ დავა, — მიტომ ვენდე, —
ცის დონიდან ზღვის დონემდე!

გასაღება

პროფილს—ანფასად, ანფასს—პროფილად
როგორ ასაღებს! — ეს ვინ ყოფილა?!

ერგება!..

მე მეჩვენება, ეგება:
ურგები საქმეც ერგება!..

კამათი

დაღმაწასულ აღმაფრენით
კამათობენ კამათულით!..

ზურგი

ზურგი ჰქონდა და ენად აქცია:
ხაბჭომ დაიცვა დისერტაცია!

გამწვანება

შეშაობს ახალ თემაზე —
ასაკის გამწვანებაზე!

ზაზა კაციაშვილი

ნახ. ი. ყმეინაშვილისა



უსიტყვოდ

ბარათი დანართით

საფოსტო ბარათი მაქოა — დღეს მაქ როა,
ხვალ აქ მოვა!

ნიანგის შეგონება

საღამოს შინ დაბრუნებულმა თბილისელმა ნოე ჩხეტიამ ის იყო, ყველა საქმე მოათავა და ფიქრობდა, თავი რით შევიქციოო, რომ აუქციონზე მიწვევის ბარათი მიიღო:

„მოქ. ნოვე ჩხეტიას

აღმასკომი ვაცნობებთ, რომ აღნიშნულ სოფელში არსებული საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობების (სტილი დაცულია, სასვენი ნიშნების ხმარების წესი — არა) **კანონიერი მფლობელი ჩვენთვის უცნობია, გაფრთხილებთ გამოცხადდეთ სახ. საბჭოს აღმასკომში სათანადო მითითების მისაღებად (ვადა ერთი თვე). წინააღმდეგ შემთხვევაში სახლი და სხვა ნაგებობა გაიყიდება საჯარო წესით ან გადაეცემა კომუნალურ მეურნეობას.**

ნაესაკოვოს სახ. საბჭოს აღმასკომის თავ-რე ჯ. კუჭუხიძე“.

გაკვირდა ბატონი ნოე, მე მწერენ, თუ მე არ მწერენო. თუ მე მწერენ, მე ხომ ნოე მქვია და არა ნოვეო, იქნებ ნოვე ჩხეტიაც არსებობს და ეს მიწვევა მე შეცდომით მომივიდაო. და თუ მე ვარ ნოეც და ნოვეც, „**აღნიშნულ სოფელში არსებული საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობები**“ ვიღასიაო?!.

დიდხანს იფიქრა და მერე დაასკვნა, ალბათ მართლა უპატრონო სახლ-კარი აღმოაჩინეს ნაესაკოვოში და საჯარო ვაჭრობაზე მეპატიჟებიანო. ამ დასკვნამ გაბრაზებამდე მიიყვანა ბატონი ნოე (იქნებ, იგივე ნოვე):

კაცო, რა დიდი ფულის პატრონი მე მნახეს, რომ აუქციონზე მიწვევენო, მაინც რას მაგულებენ სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდს, მრავალშვილიანი ოჯახის პატრონსო?!

მერე კიდევ დაფიქრდა ბატონი ნოე (ნამდვილად იგივე ნოვე) და ეჭვმა გაკენწლა — აქ ფარსაგი რამ არ იყოს, საჯარო გაყიდვა დედაჩემისეულ სახლს არ ემუქრებოდესო, მაგრამ იქვე გული დაიმშვიდა, მემკვიდრეობა ნოტარიალური წესით მაქვს გაფორმებული, ნაესაკოვოელები თანასოფლელად ბთვლიან, ჭირშიც და ლხინშიც მათთან ვარ, მშობლიურ კერას არ ვაცივებ და მე რაზე უნდა ჩამაცივდნენ, თანაც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ხელის ჩამორთმევით ვიცნობ, შვებულებისას სოფელში რომ ვიყავი, მაშინაც მნახა და, აბა, უცნობებში როგორ გამრევსო?!.

და მაინც გული ვერ დაიმშვიდა ბატონმა ნოემ (ვაითუ, მართლა იგივე ნოვემ) ერთიც ვნახოთ და მართლა ჩემი სახლი უნდა გაიყიდოსო! ამ ყოყმანში გამაფრთხილებელი ვადა — ერთი თვეც გავიდა და 1984 წლის იკლისიდან მეორე თვე დაიწყო, 1984 წლის 14 აგვისტოდან — მესამე თვე და ა. შ..

რაც დრო გადის, მით უფრო ვეღარ ბედავს ბატონი ნოე (იგივე ნოვე) მშობლიურ ნაესაკოვოში ჩასვლას და ჩვენ გვეკითხება, ახლა რომ წავიდე, ისევ ჩემად დამხვდება თუ არა დედამამისეული სახლი, და თუ არ დამხვდება, შემიძლია თუ არა, საჯარო ვაჭრობის წესებიდან გამომდინარე, უკანვე დავიბრუნოო?!

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ფრიად შეშფოთდა „ნიანგი“ და ბოლოს გადაწყვიტა, კონსულტანტად მოიწვიოს **აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. კუჭუხიძე.**

ელგუჯა მერაბიშვილი

ბუნების კანონები — ცხოვრებაში

ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონი

სასარგებლო შრომაში დახარჯული ენერგია კი არ იკარგება, არამედ სახალხო დოვლათად გარდაიქმნება.

მსოფლიო მიზიდულობის კანონი

სხეულის მიზიდულობის ძალა მით უფრო დიდია, რაც უფრო ახლოსაა და რაც უფრო მოხდენილია იგი.

კომუტატიურობის ანუ გადანაცვლებადობის კანონი

გამფლანგველთა გადაადგილებით გაფლანგვის ჯამი არ იცვლება.

მიახლოებითი გამოთვლა

რძის, აგრეთვე სხვა პროდუქტების ფასების მიახლოებითი გამოთვლისას რიცხვების ჯამის მეტობითი და მეტისმეტობითი დამრგვალება, ჩვეულებრივ, იწვევს გამყიდველის მეტისმეტ დამრგვალებას.

უდიდესი საერთო გამყოფი

ურთიერთუპატივცემლობა ოჯახის უდიდესი საერთო გამყოფია.

სითბური გაფართოების კანონი

ადამიანური სითბოსაგან ნებისმიერი გული ფართოვდება, ხოლო სიცივისაგან — იკუმშება.

პასკალის კანონი

ჰურჰელზე მოქმედი სითხის წნევა იზრდება ჩასხმული სითხის რაოდენობისა და სიმაგრის პროპორციულად.

არაწესიერი სამკუთხედის ნიშნები

სიყვარულის სამკუთხედში ყველა კუთხე ბლაგვია.

ბუნებრივი შერჩევის კანონი

მაღაზიაში ნაცნობებისა და გადამყიდველებისათვის უკეთესი საქონლის შერჩევა ზოგიერთ გამყიდველს ბუნებრივი შერჩევის კანონად ესახება.

აპოლონ ბასილაია

მცოხნავები

უცნაური ა რ ს ე ბ ა ნ ი გაჩნდნენ თბილისში. ყველგან არიან ისინი: ქუჩებსა და მოედნებზე, თეატრებსა და კლუბებში, ყველგან, ყველგან გადაეყრები მათ! ერთი შეხედვით არაფრით გამოირჩევიან, ჯინსებში გამოკვართულან, ზოგი „დუბლიონკითაა" შებურვილი და ხვითქი გადასდის. მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებს თვალები ნაირ-ნაირი საღებავებით აქვთ ჩალამებული, სამკაულებიც გამომწვევად უბზინავთ, მაგრამ მთავარი ეს არ არის: ყოველი მათგანი ჩვეულებრივ მოკვდავთაგან იმითაც განსხვავდება, რომ კევს შეუსვენებლივ ღეჭავს, ესე იგი იცოხნება.

ერთხელ თურმე რაჭაში მეზობელი მეზობელს წაეჩხუბა, არც ლანძღა და არც აგინა, მხოლოდ სახალხოდ განაცხადა, საქონელია, ოღონდ არ ნამცოხრობსო! თბილისელი უცნაური არსებანი კი პ ი რ უ ტ ყ ვ ე ბ ი ნამდვილად არ არიან, ისეთ ენას ასარსალებენ, დაგიფარა ღმერთმა, თუმცა იცოხნებიან და თან როგორ! ლაშები ზღვასავით ულელავთ, უფალო მოგვიტევე, და დორბლიც ჩამოსდით, არა, ყველას არა, ასეთი მარცხი მარტოოდენ ახალბედებს მოსდით, ხოლო ზოგიერთი ცოხნის უბადლო ხელოვანია, ისეა გავარჯიშებული „საღრეჭელს" ანუ კევს ბურთივით გამობერავს, „ტკლაცო" დააძახებინებს, მერე მოქნილი ენის წვერით ხახაში შეიტყორცნის და კამეჩივით გემრიელად ახრამუნებს. თუ ტრანსპორტში მასავით ბედნიერები სხვებიც მოიპოვებიან, გაგიხარიათ, ამაზრზენი კონცერტი იმართება და უსაშველო მტლაშამტლუშს ბოლო არ უჩანს.

— რაც მართალია, მართალია. დაკარგა ზოგიერთმა ახალგაზრდამ ზრდილობა! — ხმამაღლა ჩივის კნეინას სახიანი მანდილოსანი.

— რა მოხდა მერე! — ამშვიდებს მას მოპროფესორო სიფათი. — მე და თქვენ, ქალბატონო, კბილებიც აღარ გაგვაჩნია, კევს კი არა, წანდილს ველარ დავღეჭავთ, ხი, ხი, ხი...

— კი მარა, შეიძლება აკე სახალხოდ ყველაფრის ქნა?!

— მაგაზე უარესიც მინახავს, აგერ, ე მუტრუკი მზესუმზირას რომ აკნატუნებს და ჩენჩოს საყელოში მაყრის, ნამეტანი მიხარია?!

— ეჰ, ჩემო კარგო, თამბაქოს კვამლი მკლავს, მაგრამ ვის ვებრალები, ორთქლმავალივით აბოლებენ და აქაურობას წამლავენ. რო ნამეტანი არ აწლაპუნებდნენ, კევი მართლა ქეა მოსათმენი!

ანაზდად საუბარში ქურქოსანი ჩაერია:

— ენაცვალოს დედა, ჩემი ქალიშვილი კევს ისე საყვარლად ღეჭავს, ლამის ტუჩები დავუკოცნო, თაგვივით აცმაცუნებს, ერთ უხამს ბგერას ვერ გაიგონებთ, ასეთმა ღეჭოს, ვის რას დაუშავებს?

— არა, ბატონო, მიუღებელია — გაწიწმატდა პენსიონერი ექიმი, — კუჭს ატყუებს, სანერწყვე ჯირკვლები ცვდება, თან არაჰიგიენური და, რაც მთავარია, არაესთეტიკურია...

— დაიწყო ახლა ამან ლექცია! — ჩაიქნია ხელი მოპროფესორო სიფათმა, პაპიროსი ბილეთების სალაროს მიასრისა და ღია კარიდან შორს გააპურჭყა.

მეყსეულად ტროლეიბუსს ბიგელები ავარდა, ხალხი შეკრთა, შეტორტმანდა, მერე ვითომ აქ არაფერიო, მცოხნავებმა ცოხნა განაგრძეს, მოპროფესორო სიფათმა საკუთარი ცხვირი გაიხადა სამოქმედო ასპარეზად, მას კნეინას სახიანი მანდილოსანი თავზარდაცემული შესცქეროდა.

...მართლაცდა უცნაური არსებანი გაჩნდნენ ჩვენს სათაყვანებელ დედაქალაქში!

იმედო შეწირული

ნახ. გ. ჭანტურიასი



— რაო, რა მინდაო?!
— რევიზია ხელმეორედ უნდა ჩავატაროო!

გარითმული სენტენციები

● **თუ** არ გინდა ცხოვრებაში იყო საცოდავი, პირველ რიგში შეისწავლე საკუთარი თავი!

● **ტკბილი** სიტყვებით თაფლავდნენ, სანამ მიწაში ჩაფლავდნენ.

● **თვალს** მხოლოდ მაშინ ახელდა, როცა უფროსი ამხელდა.

● **სულ** გამოსარჩენს ეძებდა, რადგან უსაქმოდ ვერ ძლებდა.

● **ყველამ** რაღაც აპატია და დასჩემდა აპათია.

● **ღვინოში** ისე შეტოპა, ცოცხალ კაცს უთხრა შენდობა.

● **თავს** მხოლოდ იმას უკრავდა, ვინც მის ჰანგებზე უკრავდა.

ალმანზორ თავაძე

ნახ. გ. აბაშიძისა



გარბომანები

ფირფიტაკის კარიერა

„...ჩვენში ბევრი თარგმანი უგემოვნოდ და უცოდინარობა მიერ სრულდება".

(ერთი კრიტიკოსის შენიშვნა)

— ყვინთილაძემ კინოკარიერა შეიქმნა, კოტიკებიე დრამებსა წერს, სკეთინოლაძემ კრიტიკოსის სახელი მოიხეკვა!.. ბენ რა ეგში შეეიდა, რომ დალეფენის ხესაკეთ? ასეთი საკვალიერთი არაერთხელ მიმართია ცოლმა ნიკოლო ფირფიტაძეს.

ნიკოლოს სიტყვა ბაზზე აუდგო:

— რაა, მე ვკლო, ცუდად გაეხოვრეს თუ?! რა გაკლია მანინდამანინ...

— რა მაკლია, რა მაკლია! — გაოგაეარა ცოლმა,— რა მაკლია და, სახელი! შენ?! ჩემს „პაკრუნებს" — ყველა რაც დარჩის ხელოვანს წაპყვა, შენ კი ბუდალტრობას ვერ გასცილდეა!..

— ხომ იეი, ბეერს ენატრება ეს საპატიო სპეციალობა! — მოუმრა ნიკოლომ.

— ეოსაე უნდა, მოენატროს! მე მინდა,



რომ ჩემი ქმარი შემოქმე�ის სახელს ატარებდეს! ვეკმაის?!

რადგან საკოთხ პრაკტიკულად იდგა, საქ მე მაკლ აარჩევანზე მიდგა.

— მაინდ რა გიგაკეთო, შე ქალო?!

— რა გაკეთო და, დაწერე!

— ალარ იტყვი, რა დაეწერო?!.

— რა დაწერო?! რა დაწერო და დაწერე ერთი ლრამა!

— ეჰ, ლრამებსა ხომ წერენ ნა ისაა. გინდა, ჩვენს ცნობილ და აარაცნობილ ლრამატურგებს ლუკმა ნაგართვი?

— აბა, მაშ, კომედია სცადე! ოქნებ კომედია სკორბია!..

— კომედიების საქმეე ასეა: თითქმის დაწერილია ყველა ან თეატრებს საატერო პიესარაანი უკვე ათი წლით ადრე ვაგზეთელი ვაანსაა.

— კეი, აბა, სცენარზე რას იტყვი? ხომ იეი, სცენარი პირდაპირ გაკეთებაა! მერე, თუ სახელმოწეენილმა რეჟისორმაბა თანაგატორობა გიგიზეკს და გადაიღეს...

— ვერე მაგას შეკამრდები! ეინე რეჟისორია, ეინ წერს, ეკი იღებს და ეკი შემოსავალი მიაკვს. ეინე სცენარისტია, იმას ხომ რეჟისორობას არავინ მისცემს!

— მაშ, იეი, რას გირჩეე?

— რას?

— მოდი, ერთი ეხრაპორორარიანი საქმე გააკეთე!

— არ მესმის!

— არ გესმის! სად ცხოვრობ, რომ სიტყვა „ეხრაპორორარიანი" არ გესმის?

— არ მესმის-მეთქი!

— დაწერე: „ერთი თავი რომანინდან". ჯერ კერძ გაზეთში დაბეჭდე, შემდეგ „მნათობში" მოათავსეე, მერე „სახეელგამში" დადე ხელმეწერეულება, შემდეგ „საბჭოთა მწერალში" მიიღე ავანსი, მერე რუსულად გადაათარგმნინე, შემდეგ რუსულიდან ისევ ქართულად თარგმენე და სულ ახე, სანამ ცხრა გამომეფლეობაში ადგილს დაიბეკვებენ!

— მერე რა?

— რა და ის, რომ ცხრაჯერ პონორარს აიღეს, შენ ცხრაკერ ბიბლიოგრაფიაში მწერლად ჩაგვეფიან და მე მწერლის ცოლს ფამილიაბეენ!

— ეგ ხომ ზღაპარია, შე ქალო?!

— არაფერი ზღაპარი არაა! რამდენი გინდა დაგიასახელო, რომ ასე იქ�!

— იმაზზე კი ვამბობ!.. ზღაპარი ისაა, რომ მე ერთი თავის დაწერაც არ შემიძლია!..

— აბა, რა ჯანდაბი შეგიძლია?! ქმეკანა იმსეეს რომანებს წერს და ამას ერთი თავის დაწერაც არ შეუძლია!

მწეკვე პაუზას კვლავ ცოლის რჩვეა მოპყვა:

— იეი, რა? მოდი, თარგმნე! ახლ მთარგმნელობა, ხომ იეი, დიდ მოგამნა; ვის ეტყვეთ, რომ არ თარგმნიდეი. კლასიკოსებს თუ ცოტალასებსა — ყველას თარგმნაან. უფრო კი დიასახლისებმა გიიარეიგეს ხელი: მადლობა ღმერთს, ლეტსოკოები ამოვეუბა და ნაცოხიბე არ გამოიილეკა!

ეს წინადღისა ნიკოლოს ჭკუაში დაუჯდა. მიიღლაპარაკეს და დაასკვნეს, რომ ამ ეტაპზე, ქართულიდან რუსულად თარგმნი უფრო ხელსაყოლია.

— ჯერ ხალეეური ლექსების თარგმნა ალობებს! — უთხრა ცოლმა, — აი, მაგალითად, „ჩიტი და მელია" აპიეოთ!

ნიკოლო უკამათოდ შეუდგა საქმეს: მეორე დღეს იგი ლექსოლონეთან გაჩუმერგამეეული იყდა და არაკვვდა, რომ ორმე რუსული სიტყვა „ჩტიკ" ქართულად ფრინველი ყოფილა, ხოლო „ჩორნა" შეიძლება „ტბიეიცად" იქნეს მონათალეთი.

რამდენიმე დღის შემდეგ, ოჯახში შეკრებილ ამხანაგებს უკვე რუსულად უკითხავდა ნიკოლო „ჩიტსა და მელიას".

თარგმნილი ზღაპარ, კოლორიტულად, ძალდეეტანებული, მჩქეფარე სტილით იყო შესრულეული. მაგალითად, ქელიის დიალოგი ჩორსსთან:

ბეკურა ბეკურაძე ეკანი ბ. ფირფიტაკისა

ს

„ნიჯაღის“ მკვლელ ენციკლოპედია

ბორბი ხულიგნობის ჩადენისათვის უღირსი სამეული — **რამაზ გივის ძე რამიშვილი, თამაზ ივანეს ძე ლომია** და **პავლე ოლიფანტეს ძე თურქია** სახალხო სასამართლო საერთო ანგარიშით ათი წლისა და რვა თვის პატიმრობით „დააჯილდოვა“. ეს „ჯილდო“ ასე განაწილდა: რამაზს — 4 წელი და 8 თვე, თამაზს — 4 წელი, ხოლო პავლეს — 2 წელი. „დაჯილდოებისას“ სასამართლომ აღნიშნა: სამშენებლო სამმართველოს № 1 ტრესტის მუშა რ. რამიშვილი სამჯერ ნასამართლევია, თ. ლომია გაერთიანება „სოლანის“ შინამხატვარია, ხოლო პ. თურქია დანაშაულის ჩადენაში მათი თავგადაკლული და უხელფასო თანამონაწილეა.

დიდი ხნის განმავლობაში უმუშევარმა ფოთელმა **ბაჩუკი შალვას ძე ფაჩულიამ** გადაწყვიტა მუშობა დაეწყო მოქალაქეთა ბინებზე ყაჩაღური თავდასხმით. მოასწრო სამი ბინის გაქურდვა, მაგრამ მეტისა ვეღარ, რადგან დანაშაულზე წაასწრეს. სახალხო სასამართლომ მას ქურდობა-ყაჩაღობისათვის ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დავით ამირანის ძე **პოპიაშვილი**, პროფკავშირის სასახლის დარაჯი, დღისით ბაღში მიუვარდა ინვალიდ გოგონას, წაართვა საყურეები და მიიმალა. ვაი-გმირი მალე შეიპყრეს. ეს მძარცველობა მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთად დაუჯდა. რაც კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით დადასტურდა.

დავით შოთას ძე **ხორბალაძე** პატიოსან შრომას გაურბოდა, უშრომლად გამდიდრებაზე ოცნებობდა და ამ მიზნით ქურდობის გზას დაადგა. მიზანში ამოიღო ქ. თბილისში წერეთლის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ბინა, საიდანაც ქურდულად გაიტაცა სხვადასხვა ნივთები. მაგრამ დ. ხორბალაძე მალევე დაიკავეს და იგი მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა.

სალიმი პლატონის ძე **ჯანელიძემ**, სამთო ქიმიის სამშენებლო სამმართველოს სოფელ ჟონეთის უბნის მუშამ, სხვადასხვა დროს **ოთხჯერ** ნასამართლევმა, საშიშ რეციდივისტად ცნობილმა, მართლაც რომ ვერ **ისწავლა ჭკვა**. ჯერ ოფურჩხეთის ჩაის მისაღები პუნქტიდან თვითმცლელი მანქანა **გაიტაცა** მთვრალმა, სხვის ავტომანქანას დაეჯახა და დააზიანა. მერე ღამით ჩაის ფაბრიკის მახლობლად სროლა ატეხა რევოლვერით, რასაც უნებართვოდ ატარებდა. მეორე დღეს ეს იარაღი საკარმიდამო ნაკვეთში ჩაფლა ელექტროდეტონატორებთან და ამონალთან ერთად.

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლომ ა. ჯანელიძეს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

აბდულშაგიდ ბადრუდინის ძე **ხალიკოვი** ჩხუბსა და აყალმაყალს ეძალებოდა. ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის დროს გულმკერდში დანა ჩასცა ა. მუსაევს, რითაც მას სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით, წინათ ნასამართლევ ა. ხალიკოვს, მეესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ვაჟა არსენის ძე **მარტიაშვილი** სოფელ დიდ დმანისში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა საკუთარ მამასთან ხანგრძლივი დროის მანძილზე. მამა-შვილი ჩხუბობდნენ ერთმანეთში, ბოლო თვეებში დაუმძრახდნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ერთ დღეს კვლავ ატეხეს აყალმაყალი და შვილმა მამა დანით მოკლა!..

ამ საზარელი დანაშაულის განხილვას მიეძღვნა დმანისის რაიონის სახალხო სასამართლოს პროცესი. სასამართლოს განაჩენით მამის მკვლელს ვ. მარტიაშვილს მეესაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა.

აბესალომ სიმონის ძე **ჩარკვიანის**, **შურა რომანის ძე ბლუაშვილის**, **გიორგი ვლადიმერის ძე ჭიპაშვილის** და **გურამ გრიგოლის ძე თუთბერიძის** „კი კაცობა“ აღნუსხულია სისხლის სამართლის ორტომიანი საქმის 684 ფურცელზე. აბესალომი ნასამართლევია 6-ჯერ, „განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად“ ცნობილ იქნა 1978 წელს, გიორგი ნასამართლევია 3-ჯერ, გურამიც — 3-ჯერ, ოთხივენი უზომოდ მთვრალები, გაქურდვის მიზნით, თავს დაესხნენ ა. კაკაიანს, სცემეს, აწამეს, მერე მის ცოლისდას მერი გუდაძეს ოქროულობა და 1585 მანეთი წაართვეს...

ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონის სახალხო სასამართლომ მეესაჯა: შ. ბლუაშვილს 7 წლის პატიმრობა ქონების კონფისკაციით, გ. ჭიპაშვილს — 6 წლის პატიმრობა ქონების კონფისკაციით, გ. თუთბერიძეს 2 წლის პატიმრობა. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი ა. ჩარკვიანი იძულებითი მკურნალობისათვის გაიგზავნა სპეციალური ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ჯემალ დავითის ძე **არჩაიამ**, თბილისის № 4 ტაქსომოტორების პარკის მძღოლმა და ადრე ნასამართლევმა, ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. იგი ბინაში შეეჭრა ლიანა მაჭარაძეს, დანითა და იარაღის მუქარით წაართვა 2500 მანეთი, აგრეთვე სხვადასხვა ნივთები, რამაც საერთო ღირებულებით 4460 მანეთი შეადგინა.

ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ ჯ. არჩაიას მეესაჯა 10 წლის ვადით თავისუფლების აკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, აგრეთვე დაზარალებულის სასარგებლოდ 4.460 მანეთის გადახდა დააკისრა.

გიორგი პეტრეს ძე **გასპაროვი** მუშაობდა მერიის ღვინის ქარხანაში ვაგონის გამცილებლად, **ზურაბ მამიას ძე ბოლქვაძე** კი ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის მეოთხე კურსზე იყო. მათ ერთი და იმავე მცირეწლოვანის მიმართ ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით გიორგი გასპაროვს 13 წლით, ხოლო ზურაბ ბოლქვაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მეესაჯა.

ჯუმბერ ნუგზარის ძე **გონგლაძემ** ბორჯომის პროფტექსწავლებლის მოსწავლემ, ბორჯომის პარკში, შურისძიების ნიადაგზე, წინასწარი განზრახვით მოკლა ბორჯომის რკინიგზის საშუალო სკოლის მეათეკლასელი ზურაბ ელიზბარის ძე იობაშვილი.

ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ამ მკვლელობასა და საკასაციო საჩივართან დაკავშირებით გამოტანილ კერძო განჩინებებში დაისვა პ. პოშეხონოვის, ზ. ტეტუნაშვილის, თ. წიქარიშვილის, რ. ნოზაძის, **ვ. გუბაევის**, შ. მელიქიძის, **გ. შალამვილის**, **ზ. კობიძის** და **გ. სვანიძის** **მიმართ სისხლის** სამართლის საქმის აღძვრის **საკითხი**, **ვინაიდან** ისინი ორ ჯგუფად **გაეფილთა ჩხუბში** მონაწილეობდნენ **სხვადასხვა ზომით**, **რაც** წინასწარმა გამოძიებამ **მხედველობიდან** გაუშვა.

ს. ხვამლელი

ნახ. ო. ჯიშკარიანისა

— ეს კაცი სტადიონზე დასაძინებლად მოვიდა?!
— არა, ლატარიის ბილეთი აქვს და დაგვიბარა, პირველი ტაიმი რომ დამთავრდება, გამაღვიძეთო!

ნახ. შ. ლელაძისა

— სუ, ცუგა! წილის გარეშე არ დაგტოვებთ!

სხარტულები

სუბიექტივისტი

მრისხანე მზერას მოავლებს
ირგვლივ
ყველას და... მხოლოდ ეს ფიქრი
„ტანჯავს“:
„მე რასაც ვიტყვი, ირწმუნეთ იგი
დაუფიქრებლად!.. არ უნდა განსჯა!“
და აფთიაქის ის დებს სასწორზე
სხვის მორჩილებას!..
სხვას არას ეძებს
და არც კითხულობს,
რომ სხვაც აზროვნებს
და სხვასაც თავი აბია მხრებზე!

მარტივი დასკვნა

ამის მიხვედრას რად უნდა ჯაფა,
ამის მიხვედრას რად უნდა
სიბრძნე? —
ცხადია, ვინც ფულს იოლად ფანტავს,
ის ფულს ასევე იოლად იძენს!..

გიორგი შეთეკაური

დაეკარგა ნიღაბი!..

ალმა-დალმა მიდიოდა
ლაღი ჭენებ-ჭენებით!..
ერთხელაც არ ისარგებლა
კუთვნილ წუთშესვენებით!..
არავინ არ „გაუწირავს“
კრულვით და შეჩვენებით!..
ააყვავა საქართველო
„დიდი“ აღმოჩენებით!..
გული „აუმღერდებოდა“
ნერგის აღმოცენებით!..
ყველას, ყველას ხიბლავდა
თავის „ალმაფრენებით“!..
უცებ ფეხი დაუცურდა
და დაკარგა ნიღაბი!
ციხე-კოშკი ჩამოენგრა,
ჩაიშალა დუღაბი!..
ჩამოართვეს სასახლენი,
„ვოლგები“ და ბაღები!..
ხმელა პურზე დატოვეს
დიდი ქაფის ამღები!..
დალმა-დალმა მიდის დღეს
ოხვრით, სვენებ-სვენებით,
გვტოვებს რისხვით, მუქარით,
კრულვით და შეჩვენებით!..

ვახტანგ ნარსავიძე

ბრბო

ოღონდ გიპოვოს რაიმე ნაკლი
ჩასაფრებულთა ბრბომ, —
ჭორებს შეაფრქვევს შენეულ
აპრილს,
გაგაქილიკოს რომ!
ფრთები ესხმება სულით უმწიფარს,
სხვისი ნათელით ბრმას,
იმასაც წაშლის ხელად უტიფრად,
რა ღირსებებიც გაქვს!
თავს ვერ დააღწევ ჭორების მომგონ
ბრბოს, მზედ იქეცი თუნდ,
არადა, გინდა იცხოვრო როგორ, —
ნაკლი არ გქონდეს სულ!

ზოგიერთი ორატორი

შიზეზი თუ მიეცემა, ზოგი
ვამოიჩენს ორატორის უნარს
და კრებაზე იმისათვის მოდის,
რომ ასწავლოს თანამშრომლებს
ჭკუა.
თქმის უფლება მიეცემა როგორც,
მონდომებით იწყებს სხვების
ქირდვას,
არ დაეძებს, რას ლაქლაქებს, ოღონდ
ჩაეთვალოს გამოსვლაში სიტყვა!
გაბედულად გაატანე ნიავს,
ტრიბუნიდან რომ ჩაგძახის ხვითო!
ვისაც ჩვენი ყურთასმენა მიაქვს,
იმაზე კარგს რას მოგვიტანს ვითომ?!

წუთისოფელს

ყველგან ჭიხვინებს სიკვდილის
ცხენი,
ვის დასცალდება ვულკანის გზნება?
სიცოცხლე არის კიაფი ელვის,
გაანათებს და მაშინვე ქრება!..
წუთისოფელო, მოვსულვარ
სტუმრად,
რატომ არ მიშლი საკადრის სუფრას?
გატყობ,
გაწირვას მიპირებ ჩუმად! —
სტუმარს ასეთი დახვედრა უნდა?

გიგა მახვილაძე 50



•

სიკვდილზე როდი უნდა გაბრაზდე,
ადრე თუ გეძებს გასავლელ გზებზე,
ის გაიფიქრე, თუ შენს საფლავზე
რამდენი მოვა სიკვდილის შემდეგ!
უნდა იბრწყინო მთელი არსებით,
დრო ყურდღებას აფასებს ძვირად!
გასვენებაზე ჩემი ნაცნობის
ხალხს ელოდნენ და...
მოვიდა წვიმა!..

დაგვიანებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჭირს შემოსვლა დაკეტილ კარში,
გვიან დავიწყე ლექსების წერა;
დაგვიანებულს ცოტა აქვს ფასი,
დაგვიანებულს ამჩნევენ ძნელად!
თქვენ ირონიულ მზერას ნუ
მესვრით,
ბოლოდან თუ მსურს გავიდე თავში!
მკითხველს სჭირდება პოეტის ლექსი
და არა მისი მეტრიკის ასლი!

არხეინი „უფალი“

ვინ დააცლის ქალაქებს
აყვავებას ათასგზის?
ღმერთი ახლაც ჯოხს ურევს
კართაგენის ნაცარში!..
ვინ დათვალოს ქვეყნები,
ამომწყდარი უკვალოდ?
ოჰ, შე ნაცარქექიავ,
არხეინო „უფალო!“

წიგნი

ზოგჯერ მიცისკრებ აპრილს,
ნეტარებისკენ მგზავნი,
ზოგჯერ კი ისე დამღლი,
რომ მოგისროლო ლამის!
ხან ჩაუქრობელ ხანძრებს
სულში გულდაგულ მინთებ,
ისეთ მალამოს მაცხებ,
მკურნალს შეშურდეს იქნებ!
ზოგჯერ ძალა გაქვს ნაღმის,
ფიქრებს ამიშლი იმდენს,
შენი სტრიქონის ბანგი
გზაზე მიფანტავს ნისლებს!
როცა არა გაქვს ფორმა,
შიგ შინაარსიც არ დევს, —
ვეღარ ვიკავებ ბოღმას —
ვამბობ: „ვაი შენს დამწერს!“

ტერნი

სულში რომ ჩასწვდე მკითხველს
იჭვიანს,
უნდა ებრძოლო რამდენ სატანას!..
ლექსის დაწერა ერთი ნიჭია
და მეორეა მისი გატანა!
ბევრი უმღერის შრომით სარაჩოს,
ზოგიც — ბარაქას სავსე გიდრების!..
მე მწერლობაში ლოტოს ვთამაშობ,
სულ ტერნი ვარ და სულ ველოდები!

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო:

„ნიანგის“ მიმდინარე წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული ფელეტონი სათაურით — „შეხვედრა გოლიათების მაღაზიაში“, რომელიც ამხელდა მაღაზიის ნაკლოვანებას დიდი ზომების ტანსაცმლითა და ფეხსაცმელებით მომარაგების საქმეში, განხილულ იქნა სპეციალურ თათბირზე, სადაც მოწვეული იყო ქ. თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოსა და რესპუბლიკური საბითუმო ბაზების საქტანსაცმელვაჭრობისა და საქფეხსაცმელვაჭრობის ხელმძღვანელი მუშაკები, რის შედეგადაც თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს დაევალა, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი დიდი ზომის ტანსაცმლითა დ ფეხსაცმლით მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, აღნიშნული საქონლის სავაჭრო ფართის გასაზრდელად და ამ საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკის საბითუმო ბაზებს საქტანსაცმელვაჭრობასა და საქფეხსაცმელვაჭრობას მიეცათ მითითება, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შესაბამის სამმართველოსთან ერთად, შეიმუშაონ ღონისძიებანი სამრეწველო საწარმოების მიერ აღნიშნული საქონლის სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადების უცილობელი შესრულების მიზნით და ცალკეულ შემთხვევებში უზრუნველყონ დიდი ზომის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ბაზებში შეზიდვა, დახარისხება და სავაჭრო ობიექტებისათვის მისი მიწოდება.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ დაწესებული იქნება სისტემატური კონტროლი დიდი ზომის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მომხმარებელთა დაკმაყოფილებისათვის“.

●

სახალხო დეპუტატთა თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომი:

„ნიანგის მიმდინარე წლის მე-2 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში რუბრიკით — „შიეც ტყუილსა გზა ფართო!“ — აღნიშნული კრიტიკული შენიშვნები სინამდვილეს შეეფერება.

სურსათვაჭრობის დიდი სამამულო ომის ინვალიდთა და მონაწილეთა მაღაზია №29-ში მომხდარი დარღვევებისათვის მაღაზიის გამგე **გ. ოკინაშვილს** ქ. თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტის 1983 წლის 15 ნოემბრის № 12/8 დადგენილებით გამოეცხადა საყვედური, რაც ჩვენს მიერ ცნობად იქნა მიღებული, ხოლო ამავე დადგენილებიდან გამომდინარე, ვაჭრობის დირექციის მიერ, ომის ინვალიდების მაღაზიების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დაშვებულ იქნა ვაჭრობის დირექციის 1983 წლის 30 დეკემბრის № 406 ბრძანება, რომლის თანახმად სავაჭრო განყოფილებამ ყოველთვიურად თანაბარზომიერად უნდა მოამარაგოს ომის ინვალიდთა და მონაწილეთა 29-ე მაღაზია, რათა მაქსიმალურად იქნეს დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილება პირველი მოხმარების და მწვავე დეფიციტურ საქონელზე.

მიღებულ იქნეს აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ არ მოხდეს სამამულო ომის ინვალიდთა და მონაწილეთა მაღაზიებში პროდუქტების გაცემა გარეშე პირებზე“.

●

აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო რესპუბლიკური გაერთიანება „თბილხილბოსტანვაჭრობა“:

„ჟურნალ „ნიანგის“ 1984 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებული მამხილებელი სტატია — „ვაჭრობა და საზოგადოება“, რომელშიც ყურადღებაა გამახვილებული „თბილხილბოსტანვაჭრობის“ სისტემის გარე გამყიდველების მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე, სინამდვილეს შეეფერება.

აღნიშნული სტატია განხილულ იქნა „თბილხილბოსტანვაჭრობის“ დირექციასთან არსებულ ვაჭრობაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის სხდომაზე. 1984 წლის 27 ივლისის № 1—171 ბრძანებით გამყიდველი **ო. ზედელაშვილი** დათხოვნილ იქნა სამუშოდან, გამყიდველის მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის მაღაზიის გამგე **ზ. მესხს** გამოეცხადა სასტიკი საყვედური“.

●

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის გურჯაანის გაზის მეურნეობის საექსპლუატაციო საწარმოო ტრესტი:

„ნიანგის“ 1984 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნა სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში თხევადი გაზის ბალონებით არალეგალურად მომარაგების შესახებ, სინამდვილეს შეეფერება.

სოფელ ანაგის თხევადი გაზით მომარაგების საქმეში გასულ წლებში ნამდვილად იყო შეფერხებები, ახლა მდგომარეობა გამოსწორებულია. 1984 წლის 7 თვეში, ერთ აბონენტზე, ნაცვლად 12,0 კგ თხევადი გაზისა, გაცემულია 13,2 კგ თხევადი გაზი.

გურჯაანის გაზის მეურნეობის საექსპლუატაციო საწარმოო ტრესტის მიერ სოფელ ანაგაში თხევადი გაზის ბალონებით მომარაგების საკითხი აყვანილია კონტროლზე, რათა მოსახლეობა დაკმაყოფილდეს მოთხოვნილების მიხედვით.“

7-84

84-759

იტალიური იუმორი

— კიდევ ერთი შეკითხვა, ჩემო გოგონა! — მიმართავს ქალბატონი ჯინა გლეხის გოგოს, რომლის შინამოსამსახურედ აყვანას აპირებს, — კატები და თუთიყუშები თუ გიყვარს?

— სენიორა, მე აზიზი არა ვარ, ყველაფერს ვჭამ!

* * *

აფთიაქის მეპატრონემ ცოტა მოგვიანებით შეამჩნია, რომ მისმა გამყიდველმა კლიენტს, ასპირინის ნაცვლად, შემთხვევით დარიშხანი მისცა.

მეპატრონე სასწრაფოდ გამოვარდა შენობიდან და კლიენტს მეზობელ ქუჩაზე დაეწია.

— მადლობა ღმერთს! — მეაფთიაქემ შვებით ამოისუნთქა, — თქვენი პოვნის იმედი თითქმის აღარ მქონდა!.. ასპირინის ნაცვლად დარიშხანი მოგყიდეს!.. თქვენ კი კარგად მოგეხსენებათ, რომ დარიშხანი ოთხასი ლირით მეტი ღირს!

* * *

ადვოკატის განებივრებულმა ძაღლმა კაფეს ვიტრინა ჩაამტვრია.

კაფეს მეპატრონე ადვოკატს ეწვია.

— იცით, რა, ერთმა ძაღლმა ჩემი დაწესებულების მინა ჩაამტვრია, როგორ გგონიათ, შემიძლია, მის პატრონს ზარალი ავანაზღაურებინო?

— რა თქმა უნდა!.. — უპასუხა ადვოკატმა და ჩამოუთვალა კანონის ყველა ის პუნქტი, რომელიც მსგავს შემთხვევას ითვალისწინებდა.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ, როგორც დავადგინე, ის ძაღლი თქვენი ყოფილა! — უთხრა კმაყოფილმა კაფეს მეპატრონემ.

— მითხარით, რა ღირს მინის ჩასმა?

— ათასი ლირა.

— ჩემი კონსულტაცია კი ხუთი ათასი ღირს, ძვირფასო!

* * *

სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ბრალდებულს ზედმიწევნით წესიერი მოქალაქის გარეგნობა აქვს.

პროკურორი დაიბნა, აღარ იცოდა, როგორ მიემართა მისთვის — „შენობით“ თუ „თქვენობით“. ბოლოს გადაწყვიტა და ასე დაიწყო:

— მაშ, ასე, ჩვენ მოვიპარეთ...

— ბოდიში მომითხოვია, — აწყვეტინებს პროკურორს ბრალდებული, — თქვენ თუ რაიმე მოიპარეთ, არ ვიცი, მე არაფერი არ მომიპარავს!

* * *

კგბ-ის ექიმთან: — სენიორა, არაა საჭირო ამხელაზე პირის დაღება!

— თქვენ ხომ მითხარით, ხახაში უნდა ჩაგხედოთო?

— მართალია, გითხარით, მაგრამ მე ხახის გარეთ უნდა დავრჩენილიყავი.

იტალიურიდან თარგმნა
გია გუნნიკაშვილმა

უცხოური იუმორი

ნახ. მატუისა (რუმინეთი)

უსიტყვოდ

ნახ. კ. კლისოვისა



უსიტყვოდ

759
6/XII 84
КОНТРОЛЬНЫЕ

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 22 (1680) ნოემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ვაჟა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუხაითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 22. 10. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 11. 84 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 2388 უე 08284. ტირაჟი 142 700. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137